სამწლიანი მონიტორინგის შედეგების მიმოხილვა ადმინისტრაციულ საქმეებზე

დეკემბერი 2014

თბილისი. საქართველო

აღნიშნული მონიტორინგის პროექტის განხორციელება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარებით, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და ფოლკე ბერნადოტეს სახელობის აკადემიის ფინანსური მხარდაჭერით. შინაარსზე პასუხისმგებელია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“. დოკუმენტის შინაარსი შეიძლება არ გამოხატავდეს USAID-ისა, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის, აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) ან ფოლკე ბერნადოტეს სახელობის აკადემიის შეხედულებებს.

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტში წარმოდგენილია საქართველოს ადმინისტრაციული სასამართლოს მუშაობის მიმოხილვა 2011-2014 წლების პერიოდში. ამ დროის განმავლობაში „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ მონიტორინგს აწარმოებდა ადმინისტრაციულ საქმეებზე საქართველოს სხვადასხვა ქალაქში. „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ“ საერთო ჯამში სასამართლო მონიტორინგის ოთხი ანგარიში წარმოადგინა, რომლებიც 771 საქმის (1749 სხდომა) განხილვას ეფუძნება. „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ წარმომადგენლები სასამართლო პროცესების მონიტორინგს ახორციელებდნენ თბილისის საქალაქო სასამართლოში (თბილისი), ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ბათუმი), ქუთაისის საქალაქო სასამართლოსა (ქუთაისი) და გორის (გორი), თელავის (თელავი), ხელვაჩაურის (ხელვაჩაური), ზუგდიდისა (ზუგდიდი) და რუსთავის (რუსთავი) რაიონულ სასამართლოებში.

სასამართლო მონიტორინგის პროექტის დაწყებას წინ უძღოდა მართლმსაჯულების განხორციელების კუთხით არსებული სერიოზული კითხვის ნიშნები. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 2011 წელს ***ადმინისტრაციული სამართლის საქმეთა 74% სახელმწიფოს სასარგებლოდ გადაწყდა.*** შეშფოთების საფუძველს ქმნიდა ასევე საკუთრების უფლებების დარღვევასთან დაკავშირებულ საქმეთა მზარდი რაოდენობაც; საკუთრების უფლებების დარღვევის მრავალი ბრალდება გაისმოდა უკანასკნელ ხანებში განხორციელებული ინფრასტრუქტურულ პროექტებთან და უძრავ ქონებაში სახელმწიფოს აშკარა ინტერესებთან დაკავშირებითაც.[1] ამასთან, საკუთრების უფლებების დარღვევის კუთხით რამდენიმე საჩივარი გაიგზავნა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოშიც[2].

ადმინისტრაციულ პროცესებთან დაკავშირებით უზენაესი სასამართლოს სტატისტიკური მონაცემების გარდა რაიმე სახის ანგარიში სხვა რომელიმე ორგანიზაციის მიერ არ

[1] „საერთაშოსო გამჭვირვალობა - საქართველოს“ სამუშაო ბარათი 11/05/2011, http://transparency.ge/en/post/report/transparency-international-georgias-work-card. სტუდია GNS-ის ოკუმენტური ფილმი „საკუთრების უფლებების დარღვევის შემთხვევები, დიღმის მაგალითი“, http://www.youtube.com/watch?v=ioAZneCQ1nw; საკუთრების უფლების დაცვის პრობლემა დაბა მესტიის მაგალითზე, 2011 წლის ივლისი http://transparency.ge/en/post/report/problems-related-protection-property-rights-case-mestia-july-2011

[2] სტუდია GNS-ის დოკუმენტური ფილმი „საკუთრების უფლებების დარღვევის შემთხვევები, დიღმის მაგალითი“, http://www.youtube.com/watch?v=ioAZneCQ1nw

მომზადებულა. სწორედ ამიტომ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ ადმინისტრაციული სასამართლოს მონიტორინგის პროექტის განხორციელება გადაწყვიტა. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ სასამართლო მონიტორინგის პროექტი მიზნად ისახავს ადმინისტრაციული სამართლის სფეროში საქართველოს სასამართლო სისტემის გამჭვირვალობის, ეფექტიანობისა და ხელმისაწვდომობის ხელშეწყობას.

აქვე აღვნიშნავთ, რომ მხედველობაში უნდა იქნას მიღებული „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ მიერ წარმოებული მონიტორინგის პროექტის განხორციელების პერიოდში საქართველოში არსებული პოლიტიკური ვითარება. მნიშვნელოვანი ხარვეზები აღინიშნებოდა ადმინისტრაციულ სასამართლოებში მართლმსაჯულების განხორციელების მხრივ პირველი და მეორე მონიტორინგის პერიოდში (წინასაარჩევნო პერიოდი). მესამე მონიტორინგის პერიოდისათვის კი (არჩევნების შემდგომი პერიოდი) ადმინისტრაციული სამართალწარმოების საერთო სურათი შეიცვალა. ამასთან, საგრძნობლად შემცირდა სახელმწიფო მხარის სასარგებლოდ დასრულებულ საქმეთა პროცენტული მაჩვენებელი. აღნიშნული ტენდენციები გრძელდებოდა მეოთხე მონიტორინგის პერიოდშიც. მიუხედავად ამისა, პრობლემები კვლავ შეინიშნება.

ძირითადი დასკვნები

სასამართლო მონიტორინგის პროექტის პირველადმა შედეგებმა ცხადყო, რომ მართლმსაჯულების განხორციელების მხრივ არსებული შეშფოთება საფუძვლიანი იყო. პირველი მონიტორინგის შედეგებმა საკმაოდ მნიშვნელოვანი ხარვეზები გამოავლინა: მონიტორინგს დაქვემდებარებულ საქმეთა 85% (108 საქმიდან 92 საქმე) მთლიანად სახელმწიფოს სასარგებლოდ დასრულდა, ხოლო საქმეთა 7%-ში (108 საქმიდან 8 საქმე) სახელმწიფო მხარის ინტერესები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. მეორე მონიტორინგის პერიოდში ეს მაჩვენებლები შესაბამისად 79%-სა (142 საქმიდან 112 საქმე) და 16%-ს (142 საქმიდან 22 საქმე) შეადგენდა. მეორე მონიტორინგის პერიოდში „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო" მონიტორინგს ახორციელებდა აგრეთვე გახმაურებულ საქმეებზე (2012 ივნისი - ოქტომბერი). საქმე გახმაურებულად იმ შემთხვევაში მიიჩნეოდა, თუ ის ფართოდ შუქდებოდა მასმედიის მიერ, მასში ჩართული კერძო მხარე საჯარო პირს წარმოადგენდა, დიდი იყო შესაძლო ჯარიმის თანხა, ან დავის შედეგი, სავარაუდოდ, პოლიტიკას უკავშირდებოდა. მონიტორინგის შედეგად აღმოჩნდა, რომ მოსამართლეები ერთმანეთისაგან განარჩევდნენ ჩვეულებრივ და გახმაურებულ საქმეებს. ***საზოგადოებისათვის განსაკუთრებით საინტერესო საქმეებზე მოსამართლეები არა მხოლოდ სახელმწიფო მხარის სასარგებლოდ წყვეტდნენ დავას, არამედ პროცედურულ წესებსაც არღვევდნენ სახელმწიფო მხარის სასარგებლოდ.***

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" მიერ ოთხ ეტაპად ჩატარებული მონიტორინგის განმავლობაში ***დადებითი ტენდენცია*** გამოიკვეთა: ***მნიშვნელოვნად შემცირდა სახელმწიფოს სასარგებლოდ მიღებულ გადაწყვეტილებათა მაჩვენებელი.*** მიუხედავად იმისა, რომ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" მიერ განხორციელებულმა მონიტორინგმა საქმეთა მხოლოდ შეზღუდული რაოდენობა მოიცვა და არ მომხდარა საქმის შინაარსობრივად შეფასება და საქმის მასალების შესწავლა, მონიტორინგის დაწყებით ეტაპზე სახელმწიფოს სასარგებლოდ მიღებულ გადაწყვეტილებათა უზომოდ მაღალი პროცენტული მაჩვენებელი შეშფოთებას იწვევდა. თავდაპირველად, ანუ პირველი მონიტორინგის პერიოდში, სახელმწიფოს სასარგებლოდ გადაწყვეტილ დავათა პროცენტული მაჩვენებელი 85%-ს (108 საქმიდან 92 საქმე) შეადგენდა, ხოლო მეოთხე მონიტორინგისათვის ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად შემცირდა და მხოლოდ 53% (268 საქმიდან 141 შემთხვევა) შეადგინა.



აღნიშნულ ტენდენციას ადასტურებს უზენაესი სასამართლოს ოფიციალური სტატისტიკაც, რომლის მიხედვითაც 2011 წელს მთლიანად სახელმწიფოს სასარგებლოდ დავათა 74% დასრულდა; [3] 2014 წლის ათი თვის სტატისტიკური მონაცემებით კი მთლიანად სახელმწიფოს სასარგებლოდ საქმეთა 50% დასრულდა.[4] სახელმწიფო მხარის სასარგებლოდ გადაწყვეტილ საქმეთა თვალსაზრისით მონიტორინგის პერიოდებს შორის ყველაზე მნიშვნელოვან სხვაობას ბათუმი ავლენს. პირველი მონიტორინგის პერიოდში მთლიანად სახელმწიფოს სასარგებლოდ დასრულებულმა დავებმა 87% (31 საქმიდან 27), ხოლო ნაწილობრივ სახელმწიფოს სასარგებლოდ გადაწყვეტილმა დავებმა 3% (31 საქმიდან 1) შეადგინა. შესადარებლად, მეოთხე მონიტორინგის პერიოდში ეს მაჩვენებელი, შესაბამისად, 27% (30 საქმიდან 8 საქმე) და 50% (30 საქმიდან 15 საქმე) შეადგენდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ოთხივე მონიტორინგის პერიოდში მოსამართლეებმა უმეტეს შემთხვევაში ვერ უზრუნველყვეს იმ მტკიცებულებებზე მითითება, რომლებიც საფუძვლად დაუდეს საკუთარ გადაწყვეტილებებს. თუმცა რეგიონულ სასამართლოებში ამ მხრივ ბევრად უკეთესი შედეგები აღინიშნა. სასამართლო სისტემის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ ყველა მოსამართლეს მოუწოდებს, გამოაცხადონ, თუ რომელ მტკიცებულებებს ეყრდნობა მათი გადაწყვეტილებები.

სასამართლოს პირველი მონიტორინგის პერიოდმა ასევე გამოავლინა, რომ მოსამართლეებმა ვერც ერთ იმ სასამართლოში, სადაც მონიტორინგი ხორციელდებოდა,

[3] იხ. http://www.supremecourt.ge/2011-year-statistic/ ვებგვერდი ინახა 21.11.2014
[4] იხ. http://www.supremecourt.ge/statistics/2014/ ვებგვერდი ინახა 21.11.2014

ვერ უზრუნველყვეს კერძო პირებისათვის მათი საპროცესო უფლება-მოვალეობების განმარტება. ეს გარემოება განსაკუთრებულ აღსანიშნავია იმ შემთხვევაში, როდესაც კერძო პირებს ადვოკატი არ ჰყავდათ. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ დააკვირდა იმ შემთხვევებს, როდესაც კერძო პირებს არახელსაყრელი პირობები შეექმნათ იმის გამო, რომ პროცედურებთან დაკავშირებით სათანადოდ არ იყვნენ ინფორმირებულნი. ჩვენი მიერ პირველი სასამართლო მონიტორინგის ანგარიშის გამოქვეყნების შემდეგ, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ მოსამართლეებმა მხარეებს სათანადოდ ვერ განუმარტეს მათი უფლება-მოვალეობები, თბილისის, ბათუმისა და ხელვაჩაურის სასამართლო დარბაზებში მხარეთათვის განკუთვნილ მაგიდებზე სპეციალური ბარათები განთავსდა, რომლებშიც ჩამოთვლილი იყო დავის მონაწილე მხარეების ყველა უფლება. ამასთან, მოსამართლეები უფრო აქტიურად ახდენდნენ კერძო მხარისათვის სასამართლო პროცესზე მისი უფლებების განმარტებას. ამის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა იმ პირთა ინფორმირებულობის ხარისხი, რომელთა ინტერესებსაც სასამართლოში დამცველი არ წარმოადგენდა.

და მაინც, რადგან სახელმწიფოს, როგორც მხარის, ხელთაა ადმინისტრაციული რესურსი და მას, როგორც წესი, საკუთარი იურიდიული დეპარტამენტი აქვს, ალბათობა იმისა, რომ სახელმწიფო მხარე უკეთესად იქნება წარმოდგენილი სასამართლო პროცესზე, ვიდრე კერძო პირი, რომელსაც ადვოკატი არ ჰყავს, დიდია. ეს კი მხარეებს შორის გარკვეულ უთანასწორობას ქმნის, რომლის შევსებასაც სასამართლო უნდა ახდენდეს მისი ინკვიზიციური უფლებამოსილების სათანადოდ გამოყენების საშუალებით; სამართალწარმოების პროცესში მოსამართლე საჯარო და კერძო პირის ინტერესებს შორის ბალანსის შენარჩუნებას უნდა უზრუნველყოფდეს. აღნიშნული პრაქტიკის დანერგვა სამართლიანი სასამართლოს არსებობას უზრუნველყოფს. მონიტორინგის შედეგები კი იმაზე მეტყველებს, რომ ***ოთხივე მონიტორინგის პერიოდში მოსამართლეები ინკვიზიციური უფლებამოსილების გამოყენებისაგან თავს იკავებდნენ და პროცესების წარმართვისას იყვნენ პასიურნი.*** მაგალითად, მოსამართლეები ხშირად არ იჩენდნენ ინიციატივას, რომ საქმეზე მესამე პირები მოეწვიათ, დამატებითი ინფორმაცია ან მტკიცებულებები გამოეთხოვათ, მხარეებს არ აძლევდნენ მითითებებს/ რეკომენდაციებს და ადვოკატის/წარმომადგენლის გარეშე წარმოდგენილ მხარეებს არ უმარტავდნენ მათ უფლება-მოვალეობების მნიშვნელობებს.

მართალია, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ მონიტორინგის შედეგად მოპოვებული მონაცემები საკმარისი არ არის ინკვიზიციური პრინციპის გამოყენების სრულად და ობიექტურად შესაფასებლად, თუმცა, მონიტორინგის შედეგად დაფიქსირდა, რომ ***რიგ შემთხვევაში სასამართლოს ინკვიზიციური უფლებამოსილება აშკარად ბოროტად იქნა გამოყენებული.*** კერძოდ, მეორე სასამართლო მონიტორინგის პერიოდში გახმაურებულ საქმეებზე ინკვიზიციური უფლებამოსილება გამოიყენებოდა კერძო მხარის წინააღმდეგ. მაგალითად, ერთ-ერთ გახმაურებულ საქმეზე მოსამართლემ სახელმწიფო მხარის მიერ სხდომის დახურვის ეტაპზე წარდგენილი დამატებითი მტკიცებულებები მიიღო, რაც საპროცესო კანონმდებლობის აშკარა დარღვევაა, რადგან, კანონის მიხედვით, ამ ეტაპზე მხარეების მიერ მტკიცებულებების წარდგენა იკრძალება. მას შემდეგ, რაც კერძო მხარემ აღნიშნული ქმედება გააპროტესტა, მოსამართლემ სასამართლოს ინკვიზიციურ უფლებამოსილებაზე მითითებით განაცხადა, რომ იგი საკუთარი ინიციატივით ახდენდა სახელმწიფო მხარისაგან დოკუმენტების გამოთხოვას. თუმცა აშკარა იყო, რომ მოსამართლე არც სხდომაზე გამოსულა მსგავსი ინიციატივით და არც წინასწარ გაკეთებულა განცხადება ამგვარი ინიციატივის შესახებ; სასამართლოზე ეს არგუმენტი მხოლოდ მას შემდეგ გაისმა, რაც კერძო მხარემ მოსამართლის მიერ პროცედურის დარღვევა გააპროტესტა.

რაც შეეხება საჯარო განხილვის უფლებას, მონიტორინგის პერიოდში, ზოგადად, ყველა დაინტერესებულ მხარეს ეძლეოდა საშუალება, დასწრებოდა ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცესებს. მონიტორები უპრობლემოდ ახერხებდნენ სასამართლო სხდომათა დარბაზებში ჩანაწერების გაკეთებას. გარდა ამისა, ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც მანდატურები და სხდომის მდივნები სასამართლო დარბაზის მოძებნაში ეხმარებოდნენ ჩვენს დამკვირვებლებს. მიუხედავად ამისა, მეორე სასამართლო მონიტორინგის პერიოდში დაფიქსირდა ***მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელმაც საჯარო განხილვის უფლება შეზღუდა***. 2012 წლის 19 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლო თავმჯდომარემ გამოსცა განკარგულება, რითაც სასამართლო სხდომაზე დასწრების მსურველ პირებს სხდომის დარბაზში ელექტრონული მოწყობილობების შეტანა აეკრძალათ. განკარგულებაში აკრძალვის საფუძვლად მითითებული იყო „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნის შესრულება, რომლითაც იკრძალება სხდომების აუდიო-ვიდეო ჩაწერა მოსამართლის თანხმობის გარეშე. უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული განკარგულება

მოწყობილობების მხოლოდ სასამართლო დარბაზში შეტანას ზღუდავდა, სასამართლოს თანამშრომლები მოწყობილობების შეტანას სასამართლოს დერეფნებშიც კრძალავდნენ. ამით მოქალაქეების მიმართ მეტისმეტად მკაცრი შეზღუდვების დაწესება მოხდა. რეალურად მანდატურებს საკმაო დრო სჭირდებოდათ იმის შესამოწმებლად, ჰქონდათ თუ არა სხდომაზე მოსულ პირებს ელექტრონული მოწყობილობები. ამ პროცედურის გამო „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ დამკვირვებლები პროცესზე რამდენჯერმე დროულად ვერ გამოცხადდნენ. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ შეფასებით, მეორე მონიტორინგის განმავლობაში მსგავსი დამატებითი ღონისძიებების, ელექტრონული მოწყობილობების შეტანის ***აკრძალვის უკან იდგა ამ პერიოდში პოლიტიკური რეზონანსის მქონე რამდენიმე გახმაურებული საქმის განხილვა.*** ეს აკრძალვა გაუქმდა 2013 წლის მარტში, მესამე მონიტორინგის განმავლობაში; ახალი რეგულაციის თანახმად, სასამართლო სხდომები ღია გახდა მას მედიისათვის და ახლა, როგორც წესი, ნებადართულია როგორც ვიდეო და აუდიო ჩანაწერის გაკეთება, ისე მაუწყებლობაც. თუმცა არსებობს განსაკუთრებული გარემოებები, როდესაც მოსამართლეს დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე შეუძლია, შეზღუდოს გადაღება. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ მიესალმება ამ ინიციატივას და მიაჩნია, რომ ეს ***საჯარო განხილვის უფლების გაფართოების მიმართულებით გადადგმული სწორი ნაბიჯია.*** ვენეციის კომისიის დასკვნაში აღნიშნულია: „ეჭვგარეშეა, რომ მეტად მნიშვნელოვანი და უმჯობესიცაა, არსებობდეს სასამართლო პროცესის აუდიო ჩანაწერები, განსაკუთრებით იმისათვის, რომ გადაწყდეს სასამართლოში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებული ყოველგვარი უთანხმოება თუ კამათი და უზრუნველყოფილ იქნას გამჭვირვალობა სამართალწარმოების პროცესში. ამით საზოგადოებასაც მიეცემა შესაძლებლობა, თვალი მიადევნოს სასამართლო სისტემის ფუნქციონირებას”[5].

საერთო ჯამში, მეორე მონიტორინგის შედეგებიდან გამომდინარე, მოსამართლეებს აქვთ განსხავებული მიდგომები ჩვეულებრივ და გახმაურებულ საქმეებთან მიმართებით. ყველაზე შემაშფოთებელი პრობლემები გახმაურებულ საქმეთა განხილვისას დაფიქსირდა. მაგალითად, გახმაურებული საქმეების განხილვისას საჯარო განხილვის

[5] ვენეციის კომისიის მოსაზრება საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში შესატან ცვლილებებზე, რომელიც მიღებულ იქნა ვენეციის კომისიის 94-ე პლენარულ სხდომაზე, ვენეცია, 2013 წ. 8-9 მარტი, გვ. 2 http://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD(2013)007-e

უფლების თვალსაზრისით პრობლემები აღინიშნა თბილისში. სასამართლო ხშირად ვერ უზრუნველყოფდა ინფორმაციის გამოქვეყნებას ამ საქმეებთან დაკავშირებით ჩანიშნული სხდომების შესახებ. გარდა ამისა, გახმაურებული საქმეების განხილვა, ჩვეულებრივ, მცირე ზომის სასამართლო დარბაზებში იმართებოდა, რის გამოც მრავალი დაინტერესებული მოქალაქე ვერ ახერხებდა პროცესზე დასწრებას. ერთ გახმაურებულ საქმეზე კერძო მხარის მიმართ შეჯიბრობითობის პრინციპის დარღვევის ფაქტი დაფიქსირდა. ამ შემთხვევაში კერძო მხარემ შუამდგომლობა დააყენა მთავარი სხდომის გადადების თაობაზე, რათა მას შესაძლებლობა მისცემოდა, უკეთ გაცნობოდა საქმის მასალებს. კერძო მხარის განცხადებით, მას მხოლოდ სხდომის წინა დღეს გადაეცა დიდი მოცულობის საქმის მასალები, რაც პროცესისათვის სათანადოდ მოსამზადებლად არასაკმარისი დრო იყო. მოსამართლემ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა იმ საფუძვლით, რომ მხარეს საქმის მასალების გასაცნობად და სხდომისთვის მოსამზადებლად საკმარისი დრო ჰქონდა.

სასამართლოების პირველი მონიტორინგის პერიოდში ნათლად გამოჩნდა, რომ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ მეტი ყურადღება უნდა მიექცია სასამართლოთა პუნქტუალურობისათვის. ***„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ დამკვირვებლები მოწმენი გახდნენ შემთხვევებისა, როდესაც მოდავე მხარეებს რამდენიმე საათის განმავლობაში უწევდათ მოსამართლის ლოდინი.*** ეს ფაქტი ნათლად მეტყველებდა, რომ სასამართლოები ვერ ახერხებდნენ დროის სათანადოდ მართვას. მას შემდეგ, რაც „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ სასამართლოების პუნქტუალურობის კუთხით დაიწყო მონიტორინგი და ანგარიშების წარდგენა, შედეგები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. მაგალითად, პირველი მონიტორინგის პერიოდში თბილისში დროულად სხდომათა მხოლოდ 35% იწყებოდა, მეოთხე მონიტორინგის პერიოდში კი - 80%. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ, ზოგადად, პუნქტუალურობა გაუმჯობესდა მეორე მონიტორინგის პერიოდში, ეს საკითხი პრობლემად რჩებოდა გახმაურებული საქმეების შემთხვევაში; ზოგიერთი გახმაურებული პროცესი დანიშნულ დროზე თითქმის ერთი საათის დაგვიანებით დაიწყო.

უკანასკნელი მონიტორინგის პერიოდში გამოკვეთილი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა ***თბილისში განსახილველ საქმეთა დიდ რაოდენობას*** უკავშირდება. მეორე მონიტორინგის პერიოდში თბილისში საბოლოო გადაწყვეტილების გამოსატანად საშუალოდ 8 დღე სჭირდებოდა. მესამე მონიტორინგის პერიოდში ეს დროს 17 დღემდე

გაიზარდა, ხოლო მეოთხე მონიტორინგის პერიოდში გადაწყვეტილებები, საშუალოდ, 30 დღის განმავლობაში მიიღებოდა. ეს შედეგები იმაზე მეტყველებს, რომ თბილისში მომუშავე მოსამართლეთა რაოდენობა საკმარისი არ არის საქმეთა სწრაფი ტემპით მზარდ ნაკადთან გასამკლავებლად. იმავე ტენდენციას გვიჩვენებს თბილისის საქალაქო სასამართლოს ოფიციალური სტატისტიკაც. მაგალითად, 2013 წლის განმავლობაში ერთ-ერთმა მოსამართლემ 571 საქმე განიხილა, ხოლო 2014 წ. პირველი ცხრა თვის განმავლობაში იმავე მოსამართლემ 414 საქმის განხილვა უკვე დაასრულა და 163 საქმე განხილვის სტადიაზე აქვს. მეორე მოსამართლემ 2013 წ. 316 საქმე განიხილა, ხოლო 2014 წ. პირველი ცხრა თვის განმავლობაში უკვე 339 საქმეზე გამოიტანა გადაწყვეტილება, 242 საქმე კი განხილვის პროცესშია. ეს ციფრები წლის ბოლომდე, სავარაუდოდ, კიდევ უფრო გაიზრდება, რაც სერიოზულ საშიშროებას შექმნის, ერთი მხრივ, მიღებული გადაწყვეტილებების ხარისხის, ხოლო, მეორე მხრივ, მართლმსაჯულების დროულად აღსრულების თვალსაზრისით. ეს პრობლემა დაუყოვნებლივ უნდა გადაიჭრას, რომ მან მნიშვნელოვნად არ დააზარალოს ადამიანის უფლებები და ხელი არ შეუშალოს მართლმსაჯულების აღსრულებას.

დასკვნა

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ადმინისტრაციულ საქმეთა სასამართლო მონიტორინგის პროექტის ამოქმედება იმ პერიოდში მოხდა, როდესაც სერიოზული კითხვის ნიშნები ისმებოდა ადმინისტრაციული სამართლის კუთხით. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ მის მიერ ჩატარებული სასამართლო მონიტორინგის ოთხ ანგარიშში იმ სასამართლოებთან დაკავშირებით, რომლებშიც მონიტორინგი ხორციელდებოდა, სხვადასხვა პრობლემა გამოკვეთა, მათ შორის: სახელმწიფო მხარის სასარგებლოდ დასრულებულ საქმეთა უჩვეულოდ მაღალი მაჩვენებელი, მოსამართლეთა მიერ მათი ერთობ მნიშვნელოვანი ინკვიზიციური უფლებამოსილების გამოყენებისაგან თავის შეკავება, დროის არასათანადო მართვა და განსახილველ საქმეთა მზარდი ნაკადი.

2011 წლის ოქტომბერში მონიტორინგის პროექტის ამოქმედებიდან მოყოლებული „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ ადმინისტრაციულ სასამართლოებში რიგი გაუმჯობესებაც დააფიქსირა. ***გაუმჯობესებები ეხება როგორც 2012 წ. ოქტომბერში მომხდარი ხელისუფლების ცვლილების წინა პერიოდს, ისე ხელისუფლების შეცვლის შემდგომ პერიოდსაც.*** ყველაზე მნიშვნელოვანი გაუმჯობესება 2012 წ. არჩევნების შემდეგ დაფიქსირდა, როდესაც მნიშვნელოვნად შემცირდა სახელმწიფო მხარის სასარგებლოდ გამოტანილ გადაწყვეტილებათა საერთო პროცენტული მაჩვენებელი. არჩევნების შემდგომდროინდელი პერიოდის კიდევ ერთი გაუმჯობესება საჯარო განხილვის უფლებას უკავშირდება, რაც ამ უფლების სათანადო რეალიზაციის უზრუნველყოფისათვის კანონების მიღებაში გამოიხატა, რომლებითაც მართლმსაჯულება უფრო ხელმისაწვდომი გახდა მასმედიისათვის. გაუმჯობესებები 2012 წ. ოქტომბრამდეც ხდებოდა. მაგალითად, მაგიდებზე მხარეთა უფლებების განმარტებების შემცველი სპეციალური ბარათების განთავსება, პუნქტუალურობის გაუმჯობესება.

აღნიშნულ დადებით ტენდენციებთან ერთად, მონიტორინგის პროცესში ის მიმართულებებიც გამოიკვეთა, რომლებიც შემდგომ გაუმჯობესებას მოითხოვს. მაგალითად, მართალია, დარბაზებში მაგიდებზე განთავსებულია მხარეების უფლებების განმარტებების შემცველი ბარათები, მაგრამ მოსამართლეები, უმეტეს შემთხვევაში, ჯერაც არ უმარტავენ მხარეებს სხვადასხვა პროცედურას ზეპირი ფორმით, მაშინაც კი, ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც მხარე ადვოკატით არ არის

წარმოდგენილი. გაუმჯობესების საჭიროებაზე მეტყველებს შემდეგი ხარვეზებიც: მოსამართლის მიერ იმ მტკიცებულებების გამოუცხადებლობა, რომლებსაც იგი ეყრდნობა საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანისას; მოსამართლეთა პასიურობა სრულად სათანადოდ გამოიყენონ საკუთარი ინკვიზიციური უფლებამოსილება.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ იმედოვნებს, რომ სასამართლო მონიტორინგის პროექტის ფარგლებში გამოვლენილი აქტუალური პრობლემები ყურადღების მიღმა არ დარჩება, ხოლო ჩვენს მიერ დაფიქსირებული გაუმჯობესები მომავალშიც გაგრძელდება და კიდევ უფრო აამაღლებს მართლმსაჯულების განხორციელებისა და აღსრულების ხარისხს საქართველოში.